# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 183

„9“ ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ახვლედიანის ქ. №6, ს/კ №01.19.17.003.017) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 8 მაისის N5/26563 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ.№6-ში მდებარე 1053 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1, №2, №3 საერთო ფართობით 546,17 კვ.მ. (ს/კ №01.19.17.003.017) შემდგომში სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის გადასაცემად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი